

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

19 ოქტომბერი 2018 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი -**ვანდა გიორგაძე**.

სხდომა 11⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2018 წლის 19 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2018 წლის 19 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. (დანართი N2)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, თუ მუნიციპალიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულების ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% -ს, საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ამ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემა. მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს ამხანაგობა „ნიუ გრუფთან“ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობას, რომელიც აწარმოებს ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რებილიტაციის სამუშაოებს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე